აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 32

14 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ირაკლი გვარამია, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციის: „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცის“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ჩვენ თვითონ“-ის და „ქართული დასი“-ს წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია)

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშნვისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ;

(თ. შარმანაშვილი)

1. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა სავალდებულო შემოწმება ხორციელდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად დადგენილი წესით დადგენილ ვადებში. მომხსენებლმა კომისიას შესთავაზა, რომ 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალ მაჟორიტარული არჩევნებისას უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმება კვლავ განეხორციელებინა 2008 წლის 3 ნოემბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შერჩეულ შპს „ნარკოლოგიურ ცენტრს“.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე \13;

წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარდგენის მიზნით, ნარკოლოგიური შემოწმების კომისიური წესით ჩატარების უფლება მიენიჭოს შპს „ნარკოლოგიურ ცენტრს“ (მის: ხელვაჩაური, ხახულის ქ. 2).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშნვისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშნვისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ განკარგულბის პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განკარგულებით დანიშნოს თავისი წარმომადგენლები 2008 წლის 3 ნოემბრის 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის და კომისიას წარუდგინა კანდიდატთა სია. ასევე აღნიშნა, რომ უსკოს მიერ დანიშნული წარმომადგენლები უფლებამოსილი იქნებიან თვალყური ადევნონ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას, ნებისმიერ დროს შევიდნენ საარჩევნო უბანზე ისე, რომ ხელი არ შეუშალონ კომისიის მუშაობას. ასევე აღნიშნა, რომ მათი მთავარი დანიშნულება იქნება მოაწოდონ უმაღლეს საარჩევნო კომისიას ინფორმაცია საარჩევნო პროცედურების დარღვევებთან

დაკავშირებით, რათა დროულად მოხდეს რეაგირება დარღვევის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 29 ოქტომბრის №17 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო ოლქსა და მასში შემავალ ყველა საარჩევნო უბანზე უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად დაინიშნონ:

ა) რამაზ ბოლქვაძე;
ბ) მალხაზ ბოლქვაძე;
გ) ნოდარ მელაძე;
დ) მანუჩარ გამყრელიძე;
ე) კახა ჯაიანი;
ვ) დავით თოდრია.

2. უსკოს წარმომადგენლებმა იმოქმედონ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის და უსკოს ინსტრუქციების შესაბამისად (უფლება აქვთ ნებისმიერ დროს

შევიდნენ საარჩევნო ოლქისა და უბნის შენობაში, სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ უსკოს. უსკოს წარმომადგენლებს არ აქვთ კომისიის მუშაობაში ჩარევის უფლება).

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია